





ინტერვენციული ბრინქოსკოპიის როლი ფილტვების ტუბერკულოზის მართვაში.

დ. ჭყონია, კ. ვაჭარაძე, თ.
მსხალაძე
ტუბერკულოზისა და ფილტვის
დაავადებათა ეროვნული
ცენტრი.
23 მარტი 2015



ინტერვენციული ბრონქოსკოპიის თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო მეთოდები


- აუტოფლუორესცენციური ბრონქოსკოპია (AFB);
- ენდობრონქიალური ულტრასონოგრაფია (EBUS).
- ელექტრო-მაგნიტური ნავიგაცია (ENB)
- Nd:YAG-ლაზერით რეზექცია;
- არგონ-პლაზმური კოაგულაცია (APC);
- ელექტროქირურგია;
- კრიოთერაპია;
- ბრაქითერაპია;
- ფოტოდინამიური თერაპია (PDT);
- ტრაქეისა და ბრონქების სტენტირება;
- სარქველოვანი ბრონქოპლასტიკა;
- ფილტვის მოცულობის შემცირება (BLVR);
- თერმული ვაპორიზაცია (InterVapor™);
- აირიზოლაცია (Aeriseal);
- ბრონქიალური თერმოპლასტიკა.




შემთხვევა I


ბრონქის სტენტირება

- ბრონქის სტენტირება ჩატარდა 24 წლის ქალბატონს, რომელსაც ჰქონდა გადატანილი მარცხენა ფილვის ტუბერკულოზი. ბრონქოსკოპიული და გულმკერდის ორგანოების კტ კვლევით დაფიქსირდა მარცხენა მთავარი ბრონქის (მმბ) შევიწროება მთელ სიგრძეზე 2მმ-დე ფიბროზულ-ნაწიბუროვანი ცვლილებების გამო. ამან გამოიწვია მარცხენა ფილტვის ჰიპოვენტილაცია და ატელექტაზის საშიშროება.



- ზოგადი ნარკოზის ქვეშ, მმბ-ში ჩაიდგა მეტალის, დაუფარავი, ბალონ-განშლადი სტენტი (Medtronic), რომელიც გაიშალა 8,7მმ-დე დიამეტრში წნევით 9ატმ. ინდეფლატორით Perous Medical. იმავდროულად ჩატარებულმა ბრონქოგრაფიამ აჩვენა გაფართოებული მმბ.






შემთხვევა II

სარქვლოვანი ბრონქობლოკაცია


- სარქვლოვანი ბრონქობლოკაცია (სბბ)
ჩაუტარდა 59წ მამაკაცს, რომელიც მოთავსდა
ტფდეც-ის ქირურგიულ განყ-ში
მარცხენამხრივი სპონტანური
პნევმოთორაქსის (SP) და ფილტვებიდან
სისხლდენის გამო. ჰემოსტატიური თერაპიის
მიუხედავად ვერ მოხერხდა სისხლდენის
კუპირება. გადაწყდა საციცოცხლო ჩვენებით
პაციენტის გაყვანა საოპერაციოში.

- რიგიდული ბრონქოსკოპის გამოყენებით მოხერხდა მარჯვენა ზ/წილოვანი ბრონქის ბლოკირება (სისხლდენის კერა იყო მარჯვენა ზედა წილში არსებული ტუბერკულოზური კავერნა) N12 Medlung-ის სარქვლოვანი ბრონქობლოკატორით (სბ). სისხლდენა კუპირებული იქნა, რამაც საშუალება მისცა ქირურგებს ჩაეტარებინათ ოპერაცია მარცხენამხრივი SP-ს გამო. ერთი თვის შემდეგ მოხდა ბლოკატორის ექსტრაქცია.











შემთხვევა III


ღაზერული რეზექცია

- პაციენტი - 53 წლის ქალბატონი. დიაგნოზი: მარცხენა ფილტვის კეროვანი ტუბერკულოზი, ტუბერკულოზური ბრონქოადენიტი, მარცხენამხრივი ექსუდაციური პლევრიტის გადატანის შემდგომი მდგომარეობა, აივ (+) შიდსი. შემოსვლამდე ერთი თვით ადრე პაციენტს დაწყებული ჰქონდა ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა. ასევე უტარდებოდა ანტირეტროვირუსული მკურნალობა. მკურნალობის ფონზე, კლინიკო-რადიოლოგიური მონაცემებით, პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც მოთავსდა ჩვენი ცენტრის სტაციონარულ განყოფილებაში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ინტენსიური ფაზის სამკურნალოდ.




წარმოდგენილი კტ და Ro-ლოგიური კვლევებით აღინიშნებოდა მარცხენა ზედა წილის ატელექტაზი. ფიბრობრონქოსკოპიული გამოკვლევით ინახა წარმონაქმნი მარცხენა ზ/წილოვან ბრონქში, რომელიც იწვევდა სანათურის ნაწილობრივ ობტურაციას. გადაწყდა რიგიდული ბრონქოსკოპია დაზერული რეზექციით.





რიგიდული ბრონქოსკოპიით, ზოგადი ნარკოზის ქვეშ, თავდაპირველად მოხდა მარცხენა ზ/წილოვანი ბრონქის წარმონაქმნის რეზექცია VELASTM 30WT დიოდის ლაზერის გამოყენებით. მარცხენა ზ/წილოვანი ბრონქის გახსნილ სანათურში აპარატის შესვლის შემდეგ ინახა მთლიანად დახშული აპიკალური სეგმენტური ბრონქი ასევე სადა ზედაპირის მქონე წარმონაქმნით. ლაზერული რეზექცია გაგრძელდა სანამ არ გაიხსნა აპიკალური სეგმენტური ბრონქის სანათური იმდენად, რომ მასში თავისუფლად შევიდა მკვანტარა მაშები. წარმონაქმნის ფრაგმენტები იქნა ამოღებული და გაიგზავნა ციტო-მორფოლოგიურ გამოკვლევაზე. ამით მანიპულაცია დასრულდა.



დასკვნები

- ლაზერით რეზექცია და სტენტირება წარმოადგენს ტრაქეობრონქიალური ხის სპეციფიური გენეზის ნაწიბუროვანი ობსტრუქციების რეკანალიზაციის ერთადერთ და უაღტერნატივო მეთოდებს;
- სარქვლოვანი ბრონქობლოკცია ფილტვებიდან სისხლდენის შეჩერების ყველაზე ეფექტური მეთოდია;
- აღნიშნული მეთოდების ფართო დანერგვა გააუმჯობესებს როგორც აქტიური ტუბ-ზის, ასევე ნარჩენი ცვლილებების მქონე პაციენტების მკურნალობის შედეგებს, მკვეთრად შეამცირებს გართულებების და სიკვდილიანობას.

გზადღობთ ყურადღებისათვის

